№ 281
პარასკევი 28 დეკემბერი, 1901 წ.

1877–1901

# ივერია

№ 281
პარასკევი 28 დეკემბერი, 1901 წ.

ზაზეთი ღირს:

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

რედაქცია
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებელად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 10 კაპ.
მეოთხეზედ—5 კაპ.

ეძვთიმე ხელაძის სტამბის „ტელეფონი“ № 838

საჯარო ბიბლიოთეკა

**თეგრონია ნიკოლოზის ასული, ნიკოლოზ ვიორგის ძე და ვიოლარიონის ძე ქუჩუკაშვილი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებას პირველი—ქალის, მეორე—დის და მესამე—ძმის წულის

## თამარ გიორგის ასული ქუჩუკიშვილისას.

პანაშვიდი პარასკევს, 28 დეკემბერს. შაბათს, 29 დეკემბერს, დილის 8½ საათზედ მიცვალებულის გვამს გაასვენებენ ქვაშეთის წმ. გიორგის ეკლესიაში ხოლო იქიდგან, წირვისა და პანაშვიდის შემდეგ, კუკიის მართლ-მადიდებელთა ეკლესიაში დასაკრძალავად. 2—1

# „ივერია“

## გამოვა 1902 წელს

(დაარსებიდგან მე-25 წელიწადს)

## გადიდებულის ფორმატისა

### იმავე პროგრამით, როგორც წინად

**თან-და-თანობითმა ზრდამ მკითხველთა მოთხოვნილებისამ და იმ გარემოებამ, რომ პატარა ფორმატი გაზეთისა ნებას არ გვაძლევდა საჭირო საგნებისა და საზოგადო საკითხებისათვის ჯეროვანი ადგილი დაგვეთმო ხოლმე,—გვაიძულა გაგვდიდებინა გაზეთი და გაგვეხადა ახლანდელის ზომისა. ჩვენს გაზეთს ამ რიგად მოემატა ნახევარი იმისა, რაც აქამდე იყო.**

## ფასი გაზეთისა ისევ თუმანია.

**ფასის გარდახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება:** 5 მან. ახლავე, 5 მან. მაისის გასულს.

**გაზეთის დასაბარებლად უნდა მიმართონ:**

**ტფილისში**—„ივერიის“ რედაქციას (ნაოსტაბზ. ქუჩა, № 21).

ქ. შ. წერა-კითხვის გამავრც. საზოგად. წიგნის მაღაზიას (**სასახლის ქ., თავად-აზნაურთა. ქარგ.**)

**ქუთაისში**—ბეჟანეიშვილის წიგნის მაღაზიას

**ბაქოში**—ხიდდეკელის წიგნის მაღაზიას (**ნაოსტაბზ. ქ. ქალთნთარის ქარვასლის პირ-და-პირ**).

**ტელეფონი № 227.**

საფოსტო ადრესი: ТИФЛИСЪ. Редакція „Иверія“.

## საპრედიტო საქმეთა განსაკუთრებულ კანცელარიისაგან.

ტფილისის ქალაქის კასიდგან ამ წლის 23 სეპტემბერს მოპარულ იქმნა ჯერ ისევ გაუნაღდებელი ობლიგაციები ქალაქ ტფილისის მე-3 სესხისა 592.000 მანათის რაოდენობისა.

ტფილისის ქალაქის მოურავის მოადგილის თხოვნით საკრედიტო საქმეთა განსაკუთრებული კანცელარია იუწყება საყოველთაოდ, რომ ქ. ტფილისის მე-3 სესხის ობლიგაციების მაგიერ გამოცემულ იქმნება ახალის ნიმუშის ობლიგაციები მე-3 სესხისაგე.

ამის გამო ესთხოვთ ყველას, ვისაც აქვს უკვე განაღდებული ობლიგაციები, წარმოადგინონ ტფილისის ქალაქის გამგეობაში ეგ ობლიგაციები, რათა მათ მაგიერ მიიღონ დროებით კვიტანციები, ვიდრე მომზადდება ახალი ობლიგაციები.

ცალკე იქმნება გამოცხადებული, როდის აქმნება შესაძლო მიღება ქ. ტფილისის მე-3 სესხის ახალის ნიმუშის ობლიგაციებისა.

თანამად ტფილისის ქალაქის გამგეობის მოწერილობისა უკვე განაღდებულია ობლიგაციები 200000 მან. 100 მან, ლირსებისა №№ 1—20,22—33, 35—98,100—142, 144—263, 265—321, 323—327, 329—330,332—338, 340—471 და 473—500, სულ 490 ფურცელი 49,000 მან. 1000 მან. ლირსებისა №№ 1—78, 80—93,95—107 და 109 სულ 115 ფურცელი 151000 მანათისა.

(3—5,—3).

კვირას, 6 იანვარს, 1902 წელს,
**ტფილისის „კრუშოკის“ დარბაზებში**
გამართული იქმნება

## მეჯლისი (ბალი)

ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის სასარგებლოდ-

**ბილეთის ფასი 2 მ. და 10 კ.**

ქალთათვის გულ-ამოკრილი კაბა სავალდებულო არ არის. სამხედრო კაცთათვის ჩვეულებრივი ტანისამოსი და დანარჩენთათვის ფრაკი და ნაციონალური ტანისამოსი.

**დასწყება საღამოს 10 საათზედ.**

**ბილეთები იყიდება „კრუშოკის“ მეკარესთან.**

(უ).

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**მიხეილ გედევანიშვილისა.**

ავადმყოფთათვის კრაბატები (ერთი უფასოდ).

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილით:**

**ვ. ი. ჟიჟინაძე**—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე.

**მიხეილ გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 საათ.

**ე. ბ. ფედოროვი.** შინაგან და ბავშვებისა 9—10 ს.

**გ. გ. მაღალაშვილი.** შინაგან; სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 საათ.

**ნ. ა. ელინი.** ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 ს.

**ი. ჯ. ახალშენიშვილი.** კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

**კ. მ. ელიოზიშვილი.** შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა. 11—12ს.

**ეძიმი ძალი მ. ს. ბაძრაძე.** ბავშვებისა. 11—12 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი.** ნერვებისა და შინაგანი. 12—1 ს.

**ა. ბ. ბარსუკოვი.** დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 12—1 საათ.

**ი. დ. ბეგთაგეგოვი.** სიფილისისა, კანისა და საშარდესი, 1½—2 ს.

**საღამოთი:**

**ი. ნ თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი. 5—6 საათ.

**ა. ბ. მაღალაშვილი.**—შინაგან და ბავშვებისა. 5—6 საათ.

**კვირაობით:**

**ბ. ბ. მაღალაშვილი.**—10—12 ს. შინაგან ამადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ. ოპერაციები—მორიგებით.

**მკურნალი**

## მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილით—12—1 ს. საღამოთი 6—7 ს. ყორლონცოვის ქუჩა. 16, საკ. სახლი. ტელეფ. 791. (5.)

## იაკობ ზაკარიას ძე გძელიშვილი

**ეძიმი**

სწამლობს სიფილისს და შინაგან სნეულებას. ავადმყოფებს იღებს დილით 9—12 საათამდე და საღამოთი 5—7 ს. აქვს შესახვევი მასალა.

ავქალის ქუჩა, № 85.

(142—242—14).

ვისაც ჰსურს **საახალწლოდ სადარბაზოდ სიარულის ნაცვლად** შეწირულობა გიიღოს „ქართვ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ, შეუძლიან ფული „ივერიის“ რედაქციაში წარმოადგინოს.

შემომწირველთა სია დაიბეჭდება „ივერიის“ საახალწლო ნომერში.

(სარედ.)

## პირველი კერძო სამკურნალო

**ეძიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 ს.

სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ჟ. მ. ჩიკოვანი:** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი.** დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**კ. ი. გძელიშვილი.** 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—1½ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

**საღამოთი:**

**ნ. ნ. როსტომბეკოვი.** 5—6 ს. საქირურგო და კანისა.

**ა. ნ. შაბაკოვსკი.** 6—7 ს. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვენერიულ ადმყოფობათა.

**ბ. ა. თარხანოვი.** შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—7½ ს.

**ლ. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავიას და გამართავს საექიმო გემბასტიკას ექიმის დანიშვნით.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 7½—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაურია, დარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардіана Тифлисъ, против. памят. Воронцову.

## ახალი ამბავი

*** ბ-ნი **გედევანიშვილის სამკურნალოში** მომავალ იანვრის 6-დგან შემოღებულ იქნება ღამით **ექიმთა მორიგეობა.**

*** ტფილისში, ამ თვის 24, უეცრად გარდაიცვალა **თამარ ქუჩუკაშვილისა**, ახალგაზდა ქალი, ქალაქის სკოლებში ქართული ენის მასწავლებელი, გამგე ავქალის წიგნთ-საცავ-სამკითხველოსი, და ერთი უმხნესი მოთავეთაგანი სახალხო იაფ-ფასიანი წარმოდგენების წრისა. განსვენებული თავისი შრომით არჩენდა თავის ოჯახს. გარდაცვალების წინად მას გაუსწორებია ყოველგვარი ანგარიშები ავქალის სკენისა და სამკითხველოსი და დაუტოვებია წერილები ნათესავებისათვის. ტფილისის ინტელიგენცია გულითადად სწუხს ამ ნორჩისა და გულწრფელი მუშაკის უდროოდ დაკარგვას.

*** კავკასიის მთავარ-მართებელმა თავადმა გ. ს. გოლიცინმა 3000 მანეთი გადასცა ტფილისის პოლიცმეისტერს ამ დღესასწაულებში ღარიბთათვის დასარიგებლად.

*** ტფილისის პოლიცმეისტერს მიუგნია ვაჭრის ერვიეს მკვლელთა კვალისათვის. ერთი მკვლელთაგანი ყოფილა გუშბრის (ალექსანდროპოლის) მცხოვრები, რომელიც დაუჭერიათ კიდეც.

*** „Новое Обозр.“ შეუტყვია, რომ ტფილისის გუბერნიის საგლეხო საქმეთასაკრებულოს განუხილავს მომრიგებელ შუამკაცთა თანადასწრებით **ბლეზთაგან ნადელების გამოსყიდვის საქმე** და გადაუწყვეტია: ალიძრას შუამდგომლობა, რომ ტფილისის გუბერნიაშიც შემოღებულ იქმნას **საკადდებულო შესყიდვა ნადელებისა** ისეთისავე წესით, როგორც რუსეთის შიდა გუბერნიებშია.

*** ერთი უდიდესი კერძო მამულთაგანი რუსეთის იმპერიისა—**თავიშა**, რომელიც ერთს დროს ცალკე სახანოს შეადგენდა და ახლა ეკუთვნის უწინდელ ხანების შოამომავალს თალიშ-ხანს,—გადადის მილიონერ რუსის ხელში სამ მილიონ მანეთად. მარტო თვეზის ქირის უფლება ამ მამულში გაცემული იყო აქამდე წლიურად 80.000 მანეთად.

*** 24 დეკემბერს, ღამის თერთმეტ საათზედ, ბარგუშეტს და უჯარას შუა ერთმანეთს დაეჯახა ორი მატარებელი. დაშავდნენ მაშინისტის თანაშემწე ვახტანგ გუზუული და ორივე ორთქმავალი.

*** ტფილისის მეტეხის ციხეში დეკემბრის 27 სხვა და სხვა მიზეზის გამო დაპატიმრებული ყოფილან: 217 კაცი. მეტეხის ციხის საავადმყოფოში 100 კაცი. სულ პატიმართა რიცხვი იყო 27 დეკემბრამდე 367 კაცი.

***

*** ავქალის სახალხო კითხვათა და წარმოდგენების სადგომში ქართული კონცერტი 26 დეკემბერს სადამოსათვის დანიშნული თამარ ქუჩუკაშვილის გარდაცვალების გამო გარდაიდვა შემდეგი დროისათვის.

*** ტფილისის საყასბოს ბეითალმა შანშა კანცელმახერმა ამ დღეებში ქალაქის გამგეობას სთხოვა საჭირო კრედიტის გადადება საყასბოს სხვა და სხვა საჭიროებათათვის.

25 დეკემბერს, დღისის 2 საათზედ ყორლანოვის ცხენის რკინის გზის ვაგონში ჯიბ გრეგმა ამოაცალეს ქალს შეიდი თუმანი.

*** შამქორიდამ გვატყობინებენ, რომ აქ ღამე 25 დეკემბერს რკინის გზის ლიანდაგის ყარაულს დაეცნენ ყაჩაღები, რის გამო მატარებელი № 21 ნახევარ საათი იდგა ყარაულის ქოხთან.

### იმერეთის ამბები.

ქუთაისში ამ თვის 24 განსვენებულმა მთავრის ლევან დადიანის ძმე გრიგოლმა უანდერძა:

1) წერა-კითხვის გამავრცელ საზოგადოებას, რომ ამან დაიწესოს სამარადისო პრემია საუკეთესო თხზულებისთვის ქართულ ენაზე *) 3000 მან.

2) იმავე საზოგადოებას სენაკის საზნაურო სკოლისთვის 1500 მ.

3 ქუთაისის წმიდა ნინოს ქალთა სასწავლებელს, სტიპენდიად 3000 მან.

4 კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს ასაზრდოდ მანუჩარ დადიანის ჩამომავალთა, ფონდი 3000 მან.

5) ლაილაშის სასწავლებელს. . 1000 მ. დაბა ზუგდიდს, ღარიბებისთვის, ფონდი 2000

6) ქუთაისის ღარიბთა დახარგებლად 500

7) გელათს, მოწამეთას და ცაიშს. . 300

8) თეკლათის დედათა მონასტერს 200

9) ოქრო და სხვა ძვირფასი ნივთები უნდა გაიყიდოს და შემოსული ფულიდან გაკეთდეს კანკელი მარტვილის ტაძარში.

10) მარტვილისავე მონასტერს უანდერძა განსვენებულმა მამული ლეხერა, ლეჩხუმის მაზრაში, რომლისაგან მონასტერს ექნება ყოველ წლიური შემოსავალი 2000 მანეთი.

11) ყოველი უძრავი ქონება განსვენებულისა, გარდა ქუთაისის სახლისა, გადაეცემა უგანაალიებულესს თავადს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს მინგრელსკის, სამეგრელოს თავადის შვილს, ქუთაისის სახლი ერგო ანდერძით უგანაალიებულესის თავადის კონსტანტინე ლევანის ძის დადიანის შვილებს გრიგოლს და დავითს.

ფოთი. როგორც შეგიტყეთ, ჰეტერბურგში არსებულ საზოგადო საამქრისა საზღვრო შემოსავლის გამსაყოფლებელ კომიტეტს შეუწყნარებია ფოთის ქალაქის გამგეობის შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ ½ კაპეიკის სიბაჟო შემოსავლიდგან გადადებულ იქმნას ქალაქის სხვა და სხვა საუნალებელ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად საჭირო თანხა. სხვათა შორის კომიტეტს ნება დაურთავს 150,000 მან. ჯაზიების დასაშრობათ იქმნეს გადადებული და 72.000 მან. ქალაქის ელექტრონის გასანათებლად.

კვირას, 23 დეკემბერს შუადღის ბარეულ საათზედ ისეთი საშინელი ზარის რეკვა ატეხეს, რომ მთელი ქალაქი ფეხზე დაეყენა. ადგა და ბატარა ხალხის ფეხის ხმის ჰქროლდა და აქეთკენ მაეშურებოდა, სადაც ვეფხვიერელ ცეცხლის ალმა შოსოქა სიბრალო ს. კიბეშეძის სახლი. შეუბრალებელმა სტიქიამ ხახვევრ საათის განმავლობაში ფერფლად აქცია ამოტეხილ ხის სახლი. კიდევ ადგა, რომ ნაყი არ ქრიდა და შეეფინა წვიმასავან დაბლობადი ი

ინგლისელების უმრავლესობა დარწმუნებული, რომ აფრიკის ომი ინგლისელთ უნებურად გამოიწვია გარამრეგათა აუცილებლობამ, რომ ამ ომს არა აქვს არავითარი ჭეშკეანი მოსაზრებანი. ისტორია დამტკიცებს, რომ ინგლისს სხვა გზა არ ჰქონდა, თვინიერ ომისა, თუ მას არ უნდოდა, რომ დაეკარგა სამხრეთი აფრიკა და ახელშეწყობა ნდობა.

**ლონდონი.** კიტჩენერი იტყობინება, რომ დეკემბრის 21 და 22 ბლუმერი შეებრძოლა ქრისტიან ბოერსა და ოპერმანის ჯარებს და გარეკა ისინი საფრებიდგან. ერთი ნაწილი ბლუმერის ჯარისა, რომელიც მაიორის ეალენტინის ხელქვეშეთ იყო, ერთობ დაზარალდა: მოუკლეს 18 ჯარის კაცი, 5 ოფიცერი, დაჭრილია 28 ჯარის კაცი. ბურებს მოუკლეს „ ჯარის კაცი.

**კონსტანტინეპოლი.** აქ კარგის აზრისანი არიან ავსტრიის განმარტებაზე, რომლითაც უარყოფილ იქმნა ბოსნიისა და ჰერცოგოვინის ავსტრიასთან შეერთებაზე გავრცელებული ხმა.

**პეკინი.** იმპერატორი და ქვრივი იმპერატრიცა მთელი სახლობით დღეს დიდის ამბით მოგზაურობენ აქ, მათ ახლდა ბრწყინვალე ამალა და დიდ ძალი მხედრობა. ჩინმენის ჯიშკრებთან მათ უდიდებულესობათ შეეგებნენ უცხოელები. იმპერატორი და იმპერატრიცა შებრძანდნენ ბაგოდაში, სადაც უკმეს საკმეველი. იქიდგან წაბრძანდნენ სასახლეში. გზის ორსავე მხარეს ჯარები დაჩოქილნი იყვნენ.

**ვაშინგტონი.** ნიუჩანგში სამჯერ მოხდა ჩხუბი ამერიკის ზღვის ჯარის კაცთა და რუსის ჯარის კაცთა შორის, ხმა არის, რომ ერთი რუსის ჯარის კაცი დაჭრილიაო. რუსის ელჩმა ლესარმა საჩივრით მიჰმართა ამერიკის ელჩს კონჯერს, რომელმაც ყველაფერი შეატყობინა გარეშე საქმეთა სამინისტროს. საზღვაო მინისტრმა ტელეგრამით უბრძანა „ვიქსბურგის“ კომანდირს, მიიღოს ღონისძიება, რომ შემდეგში აღარ მოხდეს არავითარი ჩხუბი.

**ლონდონი.** შეფემ უბოძა მარკიზს იტოს დიდი ჯვარი ბანის ორდენისა. იტო წავიდა პარიეში.

**ლონდონი.** კიტჩენერი იტყობინება იოჰანესბურგიდგან, რომ წარსულ კვირას მოჰკლეს 36 ბური, დასჭრეს 9, ტყვედ წაიყვანეს 261 და თვით დანებდნენ 72. გენერლის ელლიოტის ჯარები სულ დაახლოვებულნი იყვნენ დევეტის ფოჰპოსტებს, მაგრამ მაინც ვერ გამოატყუეს მტრის ჯარი საბრძოლველად. იმ ადგილებში იგზავნება ახალი ჯარი. პოლკოვნიმა კოლენბრაუდერმა დამით განვლო მალათის ხეიოს-კარი და განთიადისას თვე დაეხსნა ერთს ფელდკორნეტის რაზმს. მტერს მოუკლეს 5 და დაატყვევეს 29 კაცი. იმავე დროს პოლკოვნიკის ადილენბის გუნდის ნაწილი, პოლკოვნიკის ვილიანის წინამძღოლობით თავს დაესხა ბურების პატარა ბანაკს, მდინარე ოლიფანტის სათავისაკენ, და ტყვედ ჩაიგდო 11 ბური, მათ შორის ერთი ფელდკორნეტი.

**ბუენოს-აირესი.** არგენტინის მმართებლობა დაკმაყოფილდა ჩილის მმართებლობის პასუხის შესახებ პოლიციისა. ორთავე მმართებლობამ მოიწონეს ის ოქმი, რომლითაც ასრულებულ უნდა იქმნას არგენტინის მმართებლობის მოთხოვნილებანი.

**მექსიკა.** პანამერიკის კონგრესმა განიხილა დამნაშავეთა გაცემის საკითხი, აღძრული გაიტისა და ეკვადორის რესპუბლიკებისაგან და გადასწყვიტა, რომ ანარქისტური მოქმედებანი პოლიტიკურ დანაშაულობად არ იქმნას აღიარებული.

**ბამბერგი.** ეხლანდელმა ელჩმა ლონდონში ბერლინელმა ბურგომისტრს უპასუხა მის სიტყვაზე: მე დიდი ხანია ამის მოწმე ვარ, რომ ჩვენს ქალაქებში ეოველთვის ზრდილობა სუფდელი ბერძნისა და ინგლისს შორის შეგებრძოლის განტაცებისა. ბეოსხმება ბურგომისტრის ეზრს, რომ დაჭდომაკაის სიკვნა ის უნდა იყოს, რომ ესუსტებულ უნდა იქმნას ანტაგონიზმი, თუ ეგი ეზლებმს და უნდა მეგდალობდეთ ერთმანეთთან ეთანხმებას, მაუხდავად რამდენთმე ალტვნებულ გონების ბატრონთა, რომელნაც ამ ეზრისანი ერთან, რომ ბერძნისა და ინგლისის შორის ანტაგონიზმი ეარ უნდა იქმნას დაცული. მე ეარ შეეფერდები ამ კატეგორიულ ეზრის მომდგომარეთ. ჩემის ეზრით, ჩვენს ინტერესებს უფრო შეეფერება, თუ ძველის კულტურას მქონე ერნი, ეზრის გადმა ზხრეს მტხოვრებსა და ჩვენისაგან მოდგმისას მოგეზერბით ისე, როგორც ჯმდის, ეს ეგი, ბატიოსანეგმოთ, რასაც თხოულობს მართო საერთაშორისო ზრდილობა.

27 დეკემბერი.

**პეტერბურგი.** 29 დეკემბერს ზამთრის სასახლეში მიულოცეს ახალად ჯვარ დაწერილთ დიდ მთავრისას ოლგა ალექსანდრეს ასულს და პრინც პეტრე ალექსანდრეს ძე ოლდენბურგის ჰერცოგს.—1902 წლის 1 იანვარს ზამთრის სასახლეში მოხდება უმაღლესი გამოგზავნება და მილოცვა ახალწლის გამო.—25 დეკემბერს ცარსკოე სელოში შობის ხე გაუმართეს მის უდიდებულესობის ცხენოსანთა ჯარის-კაცებს და სასახლის პოლიციას. 3 საათზე მობრძანდა ხელმწიფე იმპერატორი და დედოფალი იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული, ხელმწიფე მემკვიდრე, დიდი მთავრანნი ოლგა ალექსანდრეს ასული და პრინცი პეტრე ალექსანდრეს ძე ოლდენბურგისა. 26 დეკემბერს სხვა ჯარის-კაცთათვის გაიმართა შობის ხე ხელმწიფე იმპერატორისა, იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასულისა და სხვა უფროსულ ტიტულ წევრთა თანდასწრებით.

**პეკინი.** უცხო ქვეყნელთ მეტად გაუადვილეს იმპერატორისა და იმპერატრიცის პეკინში შესვლაზედ დასწრება. ქვრივ იმპერატრიცის ესვეთი ყურადღება უცხოქვეყნელთადმი დიდ ლაპარაკს იწვევს.

**ბერლინი.** ბიულოვის მიერ წაკითხულ სეფე სიტყვაში აღნიშნულია არა საკეთილო ხასიათი საეკონომო პირობებისა. იმედი არა აქვთ, რომ 1901 წელი კეთილ სასურველად დამთავრდეს. რკინის გზების შემოსავალი ნაკლებულ ეზედ ბევრად ნაკლებია. 1902 წლის ბიუჯეტში უფრო ნაკლები სახელმწიფო შემოსავლია მოსალოდნელი, ეიდრე მიმდინარე წლისაში, ამისდა მიუხედავად შემოსავალი და ხარჯი შეთანხმებულ უნდა იქმნას უეალოდ, სეფე სიტყვაში ლაპარაკია კანონ-პროექტზედ მუშათა საცხოვრებლების გაუმჯობესების შესახებ, სახელმწიფო სამუშაოებზედ, აგრეთვე იმ მოხელეთა მდგომარეობის გაუმჯობესობაზედ, რომელთაც მცირე ჯამაგირები აქვთ. აზრადა აქვთ თანხის გადიდება რკინის გზების გასაფართოებლად. ჰპირდებიან ახალ პროეკტის შეტანას ეაპრობის საპროფესიოთვის ნავსნობის საქმის გასაუმჯობესებლად. რადგანაც აღმოსავლეთ გერმანიის, განსაკუთრებით პოზნანიის და დასავლეთ პრუსიის, სოციოფლო-მეურნეობა გაპირვებულ მდგომარეობაშია, მთავრობამ დაუფინებლივ მიიღო საჭირო ზომებიო. სეფე სიტყვაში ნათქვამია, რომ პრუსიის სახელმწიფოს თვით შენახვისათვის გერმანელთა ელემენტი მიიღებს პოლიტიკურს და ეკონომიურს მდგომარეობასაო, და დამატებულია, მთავრობა გამსჭვალულია იმ სურვილით, რომ მტკიცედ და შეურყეველად გაამლიერის ეს ელემენტი აღმოსავლეთ პროვინციებში და ებრძოლოს სახელმწიფოს სამტროდ მომართულ ტენდენციებს. მთავრობას ამასთან იმედი აქვს, რომ დაბმარებას გაუწევენ ადგილმბრივი გერმანელნი და მთლად ხალხი, რომელიც გერმანულ ენის წინააღმდეგ გალაშქრებას საერო სახელის შეურაცხყოფად ჩასთვლისო.

**ბერლინი.** „ბრეიტაგი“: პირველად კითხულობენ ბიუჯეტს. მინისტრია ტილმანმა აღნიშნა ფინანსების არა საკეთილო მდგომარეობა, გამოწვეული ეკონომიურ დაქვეითებისაგან, და საპიროდ სცნო ახალი საიმპერიოშემოსავალი იქმნას აღმოჩენილი. შტაბერგმა, კონსერვატორმა, მოიგონა ჩემბერლენის სიტყვებს, 1870—1871 წლის ომის შესახებ ნათქვამი. დიდმა ბრალდებამ გერმანიის ჯარის წინააღმდეგ ხალხში ძლიერი უკმაყოფილება გამოიწვიაო. შეეხო რა შემდეგ სამთა კაშრის, სთქვა, რომ ეს კავშირი ხელოვნურ ქმნილებას არ წარმოადგენსო. ნიკერის კანცლერმ. სთქვა: „ორატორი შეეხო სიტყვებს, რომდენიმე ხნის წინად ნათქვამს ინჯლისს მინისტრის მიერ გერმანიის ჯარის მოქმედების შესახებ საფრანგეთ-გერმანიის ომის დროს. ჩვენ ყველანი და ეფიქრობ, ჩვენთან ერთად ყველა გონიერი ინგლისელი, თანახმანი ვართ, რომ თუ მინისტრი ჩავარდნილია ისეთს მდგომარეობაში, რომ თავისი პოლიტიკა უნდა გაამართლოს,—ეს-კი შეიძლება მოხდეს,—ესეთ შემთხვევაში კარგს იზამს გინ მინისტრი, თუ განზედ დასტოვებს სხვა სახელმწიფოს; მაგრამ თუ მაინცა და მაინც ჩვენს უცხო-ქვეყნელთა მაგათები მოიყვანოს, ამ საქმეს დიდის სიფრთხილით უნდა მოეკიდოს, რადგანაც წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება არა მარტო უკმაყოფილება გამოიწვიოს, არამედ შეურაცხყოს სხვათა გრძნობანი, თუნდაც არა წინად განზრახვით, ამ შემთხვევაშიაც მსურს ვიფიქრო, რომ ეს საქმე წინად განზრახვით არ იყო ჩადენილი, ეფიქრობ ასე განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც სხვა მხრიდგან დამარწმუნეს. ასეთი საქმე სამწუხეროა უფრო მაშინ, როდესაც მას სჩადის მინისტრი იმ სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელიც ყოველთვის ხელს უწყობდა ჰეგობრულ განწყობილების დამყარებას. „ამკარაა, რომ ის ხალხი, რომელიც ისე ახლო სდგას თავის სახლოვან ჯართან, როგორც გერმანია ერთხმად აღუდგა განზრახვას, ვითომ გერმანიის ხასიათი და ზნეობრივი საფუძველნი ჩვენს საერო ბრძოლისა დამოუკიდებლობისათვის დამახინჯებულ იქმნენ. მაგრამ გერმანიის ჯარი ძალიან მაღლა სდგას დ ამას ვერა მოხვდებარა. ამის გამო შეიძლება გავიმეოროთ სიტყვები დიდ ფრიდრიხისა, რომელმაც სთქვა, როდესაც უთხრეს, ვიღაცა აპაროს შეეზედ და პრუსიის ჯარზედ თავს დასხმასაო: „ნუ აქცევდი ყურადღებას და ნუ სწუხართ, ამას უნდა სალ კლდეს უკბინოსო“. წინა ორატორი შეეხო ავრეთვე სამთა კავშირს და კეშმარიტად შენიშნა, რომ ყოველთვის იყვნენ მოსურნენი ამ კავშირის დამხობისა, მაგრამ სამთა კავშირი უწინდელებრ კარგადა ჰგრძნობს თავს და ვფიქრობ დ ამედიცა მაქვს, რომ იგი დიდ ხანს იცოცხლებს იმ კაცებსავით, რომელთაც შეცდომით მკვდრებად ბამაცხადებენ ხოლმე. კავშირის ხასიათის შესახებ ზოგს სწორი წარმოდგენა არა აქვს: ეს კავშირი სამრეველო ამგანაგობა არ არის, აზრად მას თავს დასხმა არა აქვს, არამედ თავის დაცვა, იგი მშვიდობიანობასაა განზრახული. შტოლბერგმა სთქვა, უომ კავშირი ხელოვნურად არ არის შექმნილი და მართალიც არის: კსტორიულის თვალთა ხედგით იგი წარმოადგენს შერიგებას ომისას, რასაც ერმა 1850 და 1870 წლების ომებით მიაღწია. კავშირი აერთებს მომავ.ლს იგი წინააღმდეგი არ არის იმისა, რომ კავშირის წევრთ კეთილი განწყობილება ჰქონდეთ სხვა სახელმწიფოებთან. მე ცრუ ამბად ჩავიღილდი, გერმანიის მწერლობის მცირე ნაწილმაკ-კი რომ რამე აღელვება გამეწვიოს იტალიისა და საფრანგეთის დაახლოვების შესახებ. ბედნიერ ცოლ-ქმრობის დროს ქმარმა საწყენად არ რნდა ჩასთვალოს ცოლის უმანკო გართობა და სხვა მოკეკვავესთან მეტ ხანს თამაშობა (სიცილი). უმთავრესი ისაა, რომ ცოლი არ გაიქცეს და არც გაიქცევა, თუ კი ქმართან კარგადა სცხოვრობს. კავშირი არ ადებს თავის წევრებს ტვირთ-მძიმე მოვალეობებს. ყველას უფლება აქვს იმდენი ჯარი იყოლიოს. რამდენიც ჰსურს. იმასაკ-კი ვიტყვი, რომ უსამთა კავშირიდ მის წევრებს მეტის ჯარის ყოლა დასჭირდებოდათ, ეიდრე ეხლა, როდესაც იგინი წევრნი არიან ძლიერის კავშირისა. იტალია-საფრანგეთის შეთანხმება ერულიადაც არ არის კავშირის წინაალმდეგ მომართული. ეხლანდელი მდგომარეობა ბევრად უკეთესია, ვიდრე 1879 წელს იყო, როდესაც თავადმა ბისმარკმა გრაფ ანდრაშისთან ერთად ფუძველი ჩაუყარეს დღევანდელ სამთა კავშირს. მაშინ ჩვენ საქმეს ეზოლოდ ევროპის პოლიტიკა შეადგენდა, ეხლა დიდთა სახელმწიფოთა პოლიტიკა მთელ ედამიწას ეხება. ჩემის აზრით, ისტორიას არ ახსოვს ისეთი ხანა, როდესაც ძლიერი სახელმწიფო ყოფილიყოს, რამდენიც ეხლაა. ეს გარემება მშვიდობიანობის დაცვას უწყობს ხელს, რადგანაც ძალნი ერთმანეთს უთანასწორდებიან და რადგანაც კი არის სახელმწიფოთ, რომელიც ევროპაში ომობის დროს არა ჰფიქრობდეს: ნეტა რა ხდება ჩემს ზურგთ უკანაო? 1879 წელს ჩვენნი დიდებულნი სახელმწსფო მოღვაწე ბისმარკი და სარდალი მოლტკე ჰფიქრობდნენ, რომ გერმანიას სახეში უნდა ჰქონდეს მახლობელი განსაცდელი დიდის ევროპის ომისა. ეხლს საქმის ვითარება ნაკლებ გამწვავეულია და მიზეზებიც არის ამისა: უწინარეს ყოველისა დაამშვიდა ყველანი გერმანიიბ 30 წლის სამშვიდობო პოლიტიკამ; ოცის წლის წინად ჰფიქრობდნენ, რომ გერმანია, გაერთიანებული დიდ ომების დროს, ომის პოლიტიკას დაადგებაო. ეს აზრი იმითი იყო საშიში, რომ ჩვენ მოწინააღმდეგეთ შეეძლოთ შემდეგის მოსაზრებით ეხელმძღვანელათ. თუ მაჯვე შემთხვევით არ ვისარგებლებთ გერმანიის თავს დასასხმელად, შიში მოგველის თვით გერმანიის დასხმისაო. ამ მოსაზრებამ აზრი დაჰკარგა, რადგანაც უკვავსკნელ 30 წელს ბევრი შემთხვევა გვქონდა სასარგებლო ომი დაგვეწყო. ეხლა ვინმემ რომ ხმა ამოიღოს გერმანიის ან იმის იმპერატორის ომის წყურვილზედ, ასეთ ცილის-წამებას გასავალი არ ექმნება. დღევანდელი მიზანი მსოფლიო პოლიტიკისა ეხება ისეთ ადგილებს და საქმებს, რომელნიც ზორს არიან გერმანიის საზღვრებზედ. მაგალითად ღაგასარელეს აფრიკის ჩრდილოეთ მხარეს, სპარსეთს და აღმოსავლეთ აზიას. მაშასადამე, თუ ჟამთა კავშირი ჩვენთვის უეველს საპიროებად არ შეადგენს, იგი მაინც ძვირფასია- ისე შემწეობით უფრო მეტად უზრუნველ ყოფილი იქმნეს მშვიდობიანობა Status guo. რაც შეგვეხება სვენ,—ამით დავამთაორებ ღღეს,—შემდეგშიაც იმდენად ძლიერს ვყოფთ გერმანიას, რომ ჩვენი მეგობრობა ძვირფასი იყოს, ხოლო ჩვენი მტრობა საგრძნობელი.

**ნიუ-იორკი.** რკინის გზის ტუნელში სახალხო მატარებლები ერთმანეთს დაეჯახნენ. 24—მდე მოკლულია. ბევრიც დ.ჭრილია.

**ვენა.** აფიცრად ფოფილს ფონ-კარინს ჯაშუშობისათვის სასამართლომ მიუსაჯა ოთხნახევარკ წლით დაპატიმრება და სამუდამოდ ავსტრიიდგან განდევნა.


## Открыта подписка на 1902 годъ.

# „ТИФЛИССКІЙ ЛИСТОКЪ“

(годъ изданія XXV-й)

въ 1902 году, какъ и раньше, будетъ выходить ежедневно, но въ значительно **увеличенномъ форматѣ.**

Увеличивая размѣры гозетнаго листа до формата »Русскихъ Вѣдомостей«, редакція ежедневно будетъ давать подпискамъ приблизительно на 4 столбца или на 600 строкъ газетнаго матеріала болѣе, чѣмъ до сихъ поръ, получивъ такимъ образомъ возможность одни изъ отдѣловъ гатеты, до сихъ поръ являвшіеся, за отсутствіемъ мѣста, случайными—вести легулярно («Обзоръ печати», журнальное обозрѣніе, беллетристика и пр.), а другіе отдѣлы (внутренней и иностранной жизни и др.)—значительно расширить.

**Особенное же вниманіе редакціи будетъ обращено на развитіе отдѣла корреспонденціи,** чтобы газета могла явиться возможно полрой выразительницей нуждъ закавказскихъ провинцій, безъ ущерба однако отдѣлу тифлисской жизни, на которой и въ предстоящемъ году будетъ обращено преимущественное вниманіе. Въ 1902 году газета будетъ заключать въ себѣ слѣдующіе отдѣлы и подъ отдѣлы: I. Дѣйствія и распоряженіе правительства. II. Телеграммы отъ особственныхъ корреспондентовъ и «Россійскаго телеграфнаго агентства». III Статьи по общимъ краеньмъ вопросамъ, а также по вопросамъ городского самоуправленія. IV. внутреннія извѣстія. V. Иностранныя извѣстія. VI. Мѣстный отдѣлъ (хроника Тифлисской жизни и другихъ мѣстъ Кавказа и закавказья). VII. Наши корреспонденты. VIII. Злободневные фельетоны («Мысли вслухъ», Мелочи жизни». «Бѣглыя заметки» и др). IX. Судебный отдѣлъ. X. Письма читателей. XI. Обзоръ печати (общей и кавказской). XII, Фелитоны (городской, обозренія кавказской жизни, популярно-научной, историческій беллетристика. иностранной и внутренней общественной жизни и др). XIII Театръ и музыка. XIV. По Россіи. XV. Смѣсь, справочной отдѣлъ и объявленія.

Текстъ газеты по временамъ будетъ иллюстрироваться, а по мѣрѣ надобности будутъ выходить отдѣльныя «ИЛЛЮСТРИРОВАННЫЯ ПРИБАВЛЕНІЯ».

По понедѣльникамъ подписчикамъ будутъ разсылаться телеграммы съ справочнымъ отдѣломъ и объявленіями.

*Въ увеличенномъ форматѣ газету предположено напечатать съ 20-го декабря.*

| Подписная цѣна: | На годъ. | | На 6 мѣс. | | На 3 мѣс. | | На 1 мѣс. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | Руб. | Коп. | Руб. | Коп. | Руб. | Коп. | Руб. | Коп. |
| Съ доставкой въ Тифлисѣ | 5 | — | 3 | — | 1 | 75 | — | 75 |
| Съ пересылкой иногородныхъ | 7 | — | 4 | — | 2 | 50 | 1 | — |
| Съ пересылкой заграницу | 12 | — | 7 | — | 4 | — | 1 | 50 |

**Подписка** принимается только съ 1-го числа каждаго мѣсяца исключительно въ конторѣ изданія. Головинскій проспектъ, № 3.

Плата за объявленія: для Закавказья за мѣсто, занимаемое строкой петита: на первой страницѣ—10 коп. и на четвертой страницѣ—5 коп.; за объявленія внѣ предѣловъ Закавказья: на первой страницѣ—24 коп. и на четвертой—12 коп.

XI годъ изданія XI

ЖУРНАЛЪ

# „Мельникъ“

Открыта подписка на 1902 годъ

*Подписная плата съ пересылкой, за годъ*

## 5 РУБЛЕЙ

ПРОГРАММА ЖУРНАЛА:

1) Распоряженіе Правительства по мукомольному, заводскому дѣлу и по хлѣбной торговлѣ. 2) Техническія описанія всякаго рода мельницъ, элеваторовъ, мельничныхъ машинъ, двигателей и аппаратовъ, съ чертежами и рисунками. 3) Статіи по вопросамъ мельничной техники и хлѣботорговаго дѣла. 4) Факты и слухи. Мелкія замѣтки и всякаго рода сообщенія, относящіяся къ спеціальности журнала. 5) Корреспонденціи изъ разныхъ мѣстъ Россіи и за границы, касающіяся мукомольнаго дѣла и хлѣбной торговли. 6) Справочныя цѣны хлѣбныхъ рынковъ въ Россіи и за-границей. 7) Портреты Государственныхъ дѣятелей. 8) Портреты дѣятелей въ области мукомольнаго дѣла и хлѣбной торговли. 9) Иллюстраціи (рисунки) къ техническому описанію мельницъ 10) Мелочи. Краткія замѣтки о новыхъ изобрѣтеніяхъ и усовершенствованіяхъ. 11) Торговыя и техническія публикаціи.

Подписныя деньги адресуются въ Москву, Долгоруковская, 22, въ редакцію журнала «Мельникъ», издателю-редактору Д. А. МАНСФЕЛЬДУ.

Можно выписывать журналъ наложеннымъ платежомъ.

Въ рѣдакціи продаются:

**1) КУРСЪ МЕЛЬНИЧНАГО СЧЕТОВОДСТВА.**

ИЗДАНІЕ ЖУРНАЛА «МЕЛЬНИКЪ».

Цѣна 2 р. съ пересылкой. Для подписчиковъ журнала «Мелникъ» 1 р. 50 к. Съ наложеннымъ платежомъ 1 р. 75 коп.

**2) Швейцарскія шелковыя сита.**

Очеркъ ихъ производства и необходимыя указанія при ихъ употребленіи. Цѣна 35 коп. (можно посылать почтов. мрками).

ПРОЕКТЪ СЪ ЧЕРТЕЖАМИ

**3) Несгораемой мельницы.**

Цѣна 1 рубль (съ пересылкой).

**4) Обзоръ мукомольной промышленности въ Россіи.**

Ограниченное число экземпляровъ. Цѣна 1 рубль (съ пересылкой).

IV годъ. Принимается подписка на 1902 г. IV годъ.

на иллюстрированный журналъ

## ПРОМЫШЛЕННОЕ

## Садоводство и огородничество

Журналъ одобренъ Учебнымъ Комитетомъ М. З. и Г. И., удостоенъ золотой медали. въ приложеніяхъ журналъ даетъ:

**книги, рисунки, сѣмена, дички, черенки и проч.**

Подписчики имѣютъ право помѣстить въ теченіе года 3 раза по 5 строкъ свои объявленія безплатно.

**Подписная цѣна: въ годъ—3 р., 1/2 года—1 р. 50 к., 3 мѣсяца—1 р.**

ВЪ ЖУРНАЛѢ ПРИНИМАЮТЪ УЧАСТІЕ:

Д. П. Алферовъ, Н. В. Андросовъ, М. С. Балабановъ, Н. М. Буренковъ, Б. І. Гомидевскій, С. Н. Гаховичъ, Н. Игнатьевъ, Н. И. Кичуновъ, Х. И. Клейнъ, И. И. Кабештовъ, К. Г. Мейеръ, С. А. Мокржецкій, Я. Т. Наленко, Л. Н. Симиренко, Р. И. Шредеръ и мн. др.

ПРОБНЫЕ НОМЕРА БЕЗПЛАТНО.

*Ближайшее руководство журналомъ приняли:*

*Н. И. КИЧУНОВЪ.*
*С. А. МОКРЖЕЦКІЙ.*

*Для удобства подписчиковъ и читателей при конторѣ журнала открыто*

КНИЖНЫЙ СКЛАДЪ **Литературы по садоводству.** | СКЛАДЪ САДОВЫХЪ **Принадлежностей и Опрыскивателей.**

Редакція принимаетъ на себя изданіе садовыхъ Прейсъ Курантовъ и Каталоговъ съ редакціи послѣднихъ относительно терминологіи.

*КАТАЛОГИ И ПРЕЙСЪ-КУРАНТЫ БЕЗПЛАТНО.*

Адресъ редакціи и конторы: Харьковъ. Рыбная улица, № 32.

3—у—3. **Редакторъ-издатель Н. В. ПЕТРОВЪ.**


Дозвол. цензурою. Тифлисъ, 27-го Декабря 1901 г. „ᲛᲘᲜᲐᲜᲘ“ ᲢᲘᲤᲚᲘᲡᲘᲡ ᲒᲣᲑᲔᲠᲜᲘᲐᲡ“ დაბეჭდა ხელოძის სტამბა. ლიტ.-ძალიან ქუჩა. დრეგბილი რედაქტორი Ა. ᲑᲐᲠᲐᲯᲘᲨᲕᲘᲚᲘ. ᲒამᲛᲔᲠᲔᲚᲘ ᲘᲚᲘᲐ ᲒᲐᲒᲘᲐᲜᲘᲫᲔ.